ხელშეკრულება N-----

ხელშეკრულება
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და
***მუნიციპალიტეტს შორის
პროექტის ქონების გადაცემის შესახებ

თბილისი

თარიღი_____

წინამდებარე პროექტის ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) გაფორმდა სსიპ - საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდს (შემდგომში - ფონდი) და *** მუნიციპალიტეტს შორის (შემდგომში - ბენეფიციარი), რომლებიც ამიერიდან ერთობლივად იწოდებიან როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე მხარედ.

პრეამბულა

იმის გათვალისწინებით რომ,

(ა) საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში (შემდგომში - დაფინანსების ხელშეკრულებები), საქართველომ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის (შემდგომში - პროექტი) მიიღო დაფინანასება.

(ბ) ფონდი უფლებამოსილია მართოს მიღებული თანხები, როგორც განსაზღვრულია ფონდსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წელს 12 ივლისს გაფორმებულ საპროექტო შეთანხმებაში.

(გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ფონდს შორის 2016 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, პროექტთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ფონდსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 პროექტის მიზნებისათვის, ფონდი ბენეფიციარისათვის შეისყიდის, განაბაჟებს და გადასცემს მას X რაოდენობა კომპაქტორიან ნაგავმზიდ მანქანას და X რაოდენობა ნარჩენების კონტეინერს (შემდგომში - პროექტის ქონება).

1.2 ფონდი გადასცემს ბენეფიციარს პროექტის ქონებას, რომლის საფასური გადახდას ბენეფიციარი უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. პროექტის ქონების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

2.1 პროექტის ქონების საფასური შედგება სესხის და გრანტის თანხებისგან.

2.2 ბენეფიციარის გადასახდელი თანხა მოიცავს მხოლოდ სესხის თანხას დამატებული საპროცენტო განაკვეთი;

2.3 სესხის პირობები:

2.1.1. სესხის თანხა ---------- ევრო;

2.1.2. სესხის ხანგრძლივობა 10 წელი;

2.1.3. საშეღავათო პერიოდი 2019 წლის 28 ოქტომბრამდე;

2.1.4. საპროცენტო განაკვეთი: ცვლადი - Euribor+1,5%;

2.1.5. გაცემის საკომისიო - სესხის თანხის 1%;

2.1.6. აუთვისებელი სესხის ძირის (ვალდებულების საკომისიო - commitment fee) 0,5%.

2.3. ბენეფიციარის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის (ფინანსური ნაწილი) შესაბამისად, წელიწადში ორჯერ 28 ოქტომბერს და 28 აპრილს.

2.4. ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღეს ეროვნულ ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3. ბენეფიციარის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები

3.3. ბენეფიციარი ვალდებულია:

3.3.1. მიიღოს ფონდის მიერ მისთვის შესყიდული პროექტის ქონება;

3.3.2. მოქმედი წესების და რეგულაციების შესაბამისად პროექტის ქონება შეინახოს კარგ მდგომარეობაში (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით);

3.3.3. ამ ხელშეკრულების დანართი №1-ის მიხედვით აწარმოოს ეტაპობრივი გადახდა;

3.3.4. უზრუნველყოს პროექტის ქონების გამოყენებით შეგროვებული ყველა ნარჩენის განთავსება საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად მოქმედ ნაგავსაყრელზე;

3.3.5. ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად დააწესოს და აწარმოოს ნარჩენების შეგროვების ტარიფების ამოღება საბოლოო მომხმარებლისგან;

3.3.6. ნაგავსაყრელის მშენებლობის ხელშეკრულების და/ან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ბენეფიციარის ვალდებულებების შესაბამისად, შპს - საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან ან მსგავსი ფუნქციების მქონე სხვა კომპანიასთან, თითოეული ახალი ნაგავსაყრელისთვის, რომელიც ბენეფიციარის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაიწყებს ფუნქციონირებას მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის მანძილზე, გააფორმოს საჯარო მომსახურეობების ხელშეკრულება;

3.3.7. ნარჩენების შემგროვებელ და ნარჩენების მართვის მომსახურეობის კომპანიებთან გააფორმოს საჯარო მომსახურების ხელშეკრულებები, თუ ბენეფიციარის მიერ გამოყენებული იქნება ამგვარი მომსახურეობის კომპანიები;

3.3.8. განახორციელოს ამ ხელშეკრულების დანართი №2-ში უზრუნველყოფილი გარემოს დაცვითი და სოციალური მართვის გეგმა და ნარჩენების მართვის გეგმა;

3.3.9. დაიცვას ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში ვალის ვალდებულებების აუცილებელი ლიმიტები;

3.3.10. ფონდის მიერ მოთხოვნილი ანგარიშების მომზადება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების დანართი №3-ში დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3.3.11. პროექტი განახორციელოს დადგენილი შესრულების მოთხოვნების, გარემოსდაცვითი და სოციალური კანონების და ყველა შესაბამისი გარემოს დაცვის ნებართვების, ლიცენზიების, დამამტკიცებელი საბუთების და თანხმობების შესაბამისად;

3.3.12. დააზღვიოს ფონდის მიერ გადაცემული კომპაქტორიანი ნაგვის მანქან(ები)ა;

3.3.13. კომპაქტორიანი ნაგვის მანქან(ებს)ას ჩაუტაროს ტექნიკური დათვალიერება საქართველოს კანონმდებლობისა და მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად.

3.4. ბენეფიციარი პროექტის განხორციელებისათვის, მჭიდროდ ითანამშრომლებს ფონდთან და პასუხისმგებელი იქნება ყველა სახის დოკუმენტის მოპოვებაზე.

3.5. ბენეფიციარი, მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდს მიაწვდის ინფორმაციას პროექტის ქონების და მათი მდგომარეობის შესახებ.

3.6. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ფონდს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით რაიმე შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელსაც აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა გარემოზე, მოსახლეობასა და დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, აღნიშნული შემთხვევის ხასიათი და მის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ზომები. შემდეგი შემთხვევების შეზღუდვის გარეშე:

3.6.1. შემთხვევა გამოვლინდა პროექტის განხორციელების ადგილზე, ან გამოწვეულია პროექტთან დაკავშირებული მოწყობილობების, აღჭურვილობების, მანქანების ან რეზერვუარების მეშვეობით (მიუხედავად იმისა, გამოყენებულ იქნა პროექტის განხორციელების ადგილას, უფლებამოსილი თუ არაუფლებამოსილი პირის მიერ);

3.6.2. შემთხვევა ჩაითვლება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების მქონედ გარემოზე, მოსახლეობასა და დასაქმებულთა ჯანმრთელობასა და უსაფრთოხებაზე იმ შემთხვევაში, თუ:

ა. მოქმედი კანონი მოითხოვს ამგვარი შემთხვევების შეტყობინებას სამთავრობო უწყებებისათვის;

ბ. თუ ამგვარი ინციდენტი იწვევს ნებისმიერი პირის სიცოცხლის ხელყოფას (მიუხედავად იმისა, ეს პირი დასაქმებულია თუ არა ბენეფიციარის მიერ);

გ. თუ სერიოზულად დაშავდა ერთ პირზე მეტი და საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას (მიუხედავად იმისა, ეს პირი დასაქმებულია თუ არა ბენეფიციარის მიერ), ან

დ. თუ ამგვარი შემთხვევა მედიის ან სხვა საშუალებების მეშვეობით საჯაროდ გახდა ან შესაძლოა გახდეს ცნობილი.

3.7. ბენეფიციარმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ფონდს მუშების ან საზოგადოების მხრიდან პროექტთან ან ბენეფიციართან დაკავშირებული პროტესტის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ან შესაძლოა გახდეს მედიის ან სხვა საშულებების მეშვეობით. ამგვარი შეტყობინებიდან 5 სამუშაო დღის მანძილზე, ბენეფიციარი ფონდს წარუდგენს ანგარიშს, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის მიერ აღნიშნულ პროტესტთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარების შედეგები და ბენეფიციარის მიერ პროტესტის დროს წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად განხორციელებული ან განსახორციელებელი ნებისმიერი ზომები.

3.8. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული თანხების დროულად არ დაფარვის შემთხვევაში ბენეფიციარს ფონდის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აღნიშნული პირგასამტეხლო მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამის სახაზინო კოდზე.

4. ფონდის უფლებები, მოვალეობები და პასუხიმგებლობები

4.3. პროექტის მიზნებისათვის, ფონდი ბენეფიციარისთვის გადაიხდის პროექტის ქონების ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში.

4.4. ფონდი ბენეფიციარისგან მოითხოვს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას და ანგარიშების მომზადებას.

4.5. ფონდი ბენეფიციარისთვის შეისყიდის პროექტის ქონებას და ამ პროექტის ქონებას გადასცემს მას, როგორც მოთხოვნილია ამ ხელშეკრულების და საპროექტო შეთანხმების ფარგლებში.

5. პროექტის ქონების გადაცემა

5.1. პროექტის ქონების შესყიდვის, მიღებისა და განბაჟების პროცედურების დასრულების შემდეგ ფონდი გადასცემს ბენეფიციარს პროექტის ქონებას.

5.2. ფონდის მიერ შესყიდული პროექტის ქონება წარმოადგენს ბენეფიციარის საკუთრებას.

5.3. პროექტის ქონების გადაცემა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ.

5.4. პროექტის ქონების გადაცემისთანავე, ბენეფიციარი მიიღებს პროექტის ქონებასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას.

6. ცვლილებები, შესწორებები და შეტყობინებები

6.2. მხარეების წერილობითი შეთანხმების საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების ან შესწორების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ამგვარი ცვლილება ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება და შესწორება ძალაში შევა ხელმოწერისთანავე ან მასში მითითებული სხვა ნებისმიერი თარიღიდან.

7. ძალაში შესვლის თარიღი, მოქმედების ვადა, შეჩერება

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევა ორივე მხარის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

7.2. ეს ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე

8. დავების გადაწყვეტა

8.1. ამ ხელშეკრულების ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა მხარეებს შორის გადაწყდება მოლაპარაკებების გზით.

8.2. თუ ამგვარი მოლაპარაკებები ვერ გამოიღებს საბოლოო შედეგს 30 დღის მანძილზე, მხარეებს უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

9. სხვა დებულებები

9.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება, სერთიფიკატი, მოთხოვნა, ანგარიში, შეთანხმება, დოკუმენტი ან კომუნიკაციის სხვა ფორმა მხარეებს შორის იქნება: (ა) წერილობითი ფორმის, (ბ) ქართულ ენაზე,(გ) ქვემოთ მოცემულ მისამართებზე ან მხარეებს შორის წერილობით შეთანხმებულ სხვა მისამართებზე:

ბენეფიციარი
მისამართი: №
ტელეფონი:
მუნიციპალიტეტი:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი აღმაშენებლის №150 დ.
თბილისი, საქართველო 0112
ტელეფონი: (995 32) 2437001; 2437002; 2437003; 2437004
ფაქსი: (995 32) 2437077

9.2. როდესაც წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შეტყობინების გაგზავნის ან რაიმე ქმედების განხორციელების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული ვადა უნდა გახანგრძლივდეს შემდეგ სამუშაო დღემდე.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განიმარტება მის შესაბამისად.

9.4. თითოეული მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულება მომზადდა ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, ინგლისური თარგმანით. თუ ქართულ და ინგლისურ თარგმანს შორის იქნება რაიმე სხვაობა უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვერსიას.

მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ ზემოთ ნახსენებს.

მუნიციპალიტეტი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
_____	_____

ფინანსური ნაწილი

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა

	საქმიანობა	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი)	მოთხოვნები (საკანონმდებლო, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის შესრულების მოთხოვნები, მიღებული პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროება, პასუხისმგებლობა	გრაფიკი	მიზნის და შეფასების კრიტერიუმები წარმატებული განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით
	შრომით და უსაფრთხოების ეროვნულ რეგულაციებთან და სტანდარტებთან (მათ შორის პერსონალური დამცავი აღჭურვილობის და სამუშაო პროცესის უსაფრთხოების მეთოდების მოთხოვნებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფა, არა-სახიფათო (სანიტარული) ნარჩენების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების ოპერირირების და მოვლა-პატრონობის პროცესში	გაუმჯობესებული უსაფრთხოება და საქმიანობა, გარემოსდაცვითი კუთხით, ასევე ინციდენტებთან, ხარჯებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული პრობლემების შემცირებული რისკი.	ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტი (OHSAS) 18001, აღიარებული საერთაშორისო სამეწარმეო პრაქტიკა (GIIP), ევროპის რეკონსტრუქციის და საინვესტიციო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესრულების მოთხოვნები (EBRD ESP PR4)	ადმინისტრაციული რესურსები	მუდმივად	ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში (AESR)
	სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვის უზრუნველყოფა	უსაფრთხოების გაუმჯობესებული მართვა	ISO 14001, OHSAS 18001-EBRD ESP PR4	ადმინისტრაციული რესურსები	კვარტალი (Q)-4 2017	ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში (AESR)

	საქმიანობა	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები (ვალდებულება/სარგებელი)	მოთხოვნები (საკანონმდებლო, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის შესრულების მოთხოვნები, მიღებული პრაქტიკა)	რესურსები, საინვესტიციო საჭიროება, პასუხისმგებლობა	გრაფიკი	მიზნის და შეფასების კრიტერიუმები წარმატებული განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით
	უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა ინციდენტის და შემთხვევების რეგისტრაცია, შესწავლა და ანგარიშგება	უსაფრთხოების მართვის მთლიანი სისტემის გაუმჯობესება	OHSAS 18001, GIIP, EBRD ESP PR4	ადმინისტრაციული რესურსები	მუდმივად	ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში (AESR)
	მყარი ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება და განხორციელება, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად	ნორმატიული მოთხოვნების დაცვა	EBRD ESP PR1 და 3, GIIP	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ტექნიკური თანამშრომლობა (EBRD TC) და საკუთარი რესურსები	Q-4 2017	ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში (AESR)
	არა-სახიფათო (სანიტარული) ნარჩენების სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა განსაზღვრულ ადგილებში, რაც არ შეუქმნის საფრთხეს საზოგადოების ჯანმრთელობას	გაუმჯობესებული უსაფრთხოება და საქმიანობის განხორციელება, გარემოს დაცვის კუთხით	GIIP	საკუთარი რესურსები	მუდმივად	ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიში (AESR)

ყოველწლიური გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშის ნიმუში

1. მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის დასახელება:
მუნიციპალიტეტის მისამართი:
რეგიონი:
ანგარიშგების წელი:

2. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) სტატუსის განახლება	
გთხოვთ უზრუნველყოთ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის სტატუსის განახლება	
სამოქმედო გეგმის პუნქტები	დასრულების სტატუსი
შრომით და უსაფრთხოების ეროვნულ რეგულაციებთან და სტანდარტებთან (მათ შორის პერსონალური დამცავი აღჭურვილობის და სამუშაო პროცესის უსაფრთხოების მეთოდების მოთხოვნებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფა, არა-სახიფათო (სანიტარული) ნარჩენების გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების ოპერირირების და მოვლა-პატრონობის პროცესში	
სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მართვის პრაქტიკის განხორციელება	
უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინციდენტების და შემთხვევების რეგისტრაცია, შესწავლა და ანგარიშგება	
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და განხორციელება, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად	
არა-სახიფათო (სანიტარული) ნარჩენების სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა განსაზღვრულ ადგილებში, რაც არ შეუქმნის საფრთხეს საზოგადოების ჯანმრთელობას	

3. ზოგადი		
3.1. ჰქონდა თუ არა ადგილი ისეთი სახის ინციდენტებს, ან შემთხვევებს, რამაც გამოიწვია გარემოს დაზიანება, ზემოქმედება კულტურულ საკუთრებაზე, ან დამკვეთის ვალდებულებების შექმნა?	კი ☐ ა რა: ☐	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ აღნიშნული ინციდენტი/შემთხვევა, ასევე მოცემული ინციდენტით/შემთხვევით გამოწვეული ზარალი და მსგავსი სახის ინციდენტების/შემთხვევების განმეორების თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების დეტალები:
3.2. მოხდა თუ არა სამუშაოების შეჩერება, დასრულება, ჯარიმების, გადასახადების დაკისრება და/ან გამოსასწორებელი საქმიანობის განხორციელების ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის, ან კონტრაქტორების მიმართ, გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, შრომითი უწყებების მიერ?	კი: ☐ ა რა: ☐	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ აღწეროთ გამოვლენილი დარღვევების ფაქტები, ასევე დაკისრებული ჯარიმები, დარღვევების გამოსწორების მიზნით განხორციელებული საქმიანობის სტატუსი: a) გარემოსდაცვითი; b) ჯანმრთელობის და უსაფრთხოების, c) შრომითი
3.3 ჰქონდა თუ არა ადგილი სასამართლო საქმეების ინიცირებას, ან დაგეგმვას დამკვეთის წინააღმდეგ ანგარიშგების პერიოდში, რაც დაკავშირებულია შრომასთან, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან, გარემოსთან, მიწის შესყიდვასთან, მესამე მხარის ქონების დაზიანებასთან და ა.შ?	კი: ☐ ა რა: ☐	დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენი? a) შრომითი b) ჯანმრთელობა და უსაფრთხოება c) გარემოს დაცვა d) მიწის შეძენა/განსახლება e) მესამე მხარის ქონებისდაზიანება f) სხვ. გთხოვთ ასევე წარმოადგინოთ მოკლე ინფორმაცია აღნიშნული საქმეების შესახებ.

4. ადამიანური რესურსების მართვა		
4.1. მოხდა თუ არა მუშების მიერ დამკვეთის მისამართით გარკვეული უკმაყოფილების	კი: ☐ ა რა: ☐	დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ შეაჯამოთ დავების ხასიათი და მიზეზები და ახსნათ, თუ როგორ მოხდა

გამოხატვა და/ან ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე სხის გაფიცვას, ან სხვა სახის კოლექტიურ დავას, სამუშაო პირობებთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდში?		მათი მოგვარება

5.	ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან (H&S) დაკავშირებული მონაცემები
5.1	გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ინციდენტებთან/შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელიც შეემთხვა თანამშრომლებს, კონტრაქტორებს, ან მესამე მხარის წარმომადგენლებს ანგარიშგების პერიოდში. გთხოვთ დაადასტუროთ აღნიშნული შემთხვევის გარემოება, სიმწვავე (ფატალური, სერიოზული, უმნიშვნელო და ა.შ.) შესწავლის სტატუსი და განხორციელებული ღონისძიება, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.
5.2	გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია გარემოს დაცვის და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებულ სწავლებაზე, რომელიც ჩაუტარდათ თანამშრომლებს, ან კონტრაქტორებს, ანგარიშგების პერიოდში. გთხოვთ წარმოადგინოთ აღნიშნული სწავლების საკითხები და იმ მუშების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს აღნიშნული სწავლება.
5.3	გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია გარემოს დაცვის და ჯანმრთელობის საკითხებზე განხორციელებული ინსპექტირების/აუდიტის რაოდენობაზე (მათ შორის უსაფრთოხების პოლიტიკის და პროცედურების (SPP) კონსულტანტის, ან პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) მიერ განხორციელებულ ინსპექტირება/აუდიტზე), რომელსაც ადგილი ჰქონდა ანგარიშგების პერიოდში. გთხოვთ დაადასტუროთ აღნიშნული ინსპექტირება/აუდიტი განახორციელა დამკვეთმა, თუ შრომის უსაფრთხოების და დაცვის (OSH) დამოუკიდებელმა ექსპერტმა და შესასრულებელია თუ არა კიდევ რაიმე საქმიანობა.
5.4	გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია სატრანსპორტო მოძრაობის დროს მომხდარი შეჯახების თაობაზე თანამშრომლებთან, ან კონტრაქტორებთან მიმართებაში, ანგარიშგების პერიოდში, რომელშიც შედის ინციდენტების, ფატალური შემთხვევების, ძირითადი დაზიანებების, უმნიშვნელო დაზიანებების, მხოლოდ დაზიანების რაოდენობა და განხორციელებული გამოძიების პროცესი. შეაჯამეთ განხორციელებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებლი საქმიანობა.

6.	დაინტერესებული მხარის ვალდებულება
6.1. რამდენი საჩივარი, ან უკმაყოფილება გამოითქვა საზოგადოებრივი, ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან პროექტთან მიმართებაში, ანგარიშგების პერიოდში? გთხოვთ დაყოთ დაინტერესებული მხარის ჯგუფად და პრობლემების ჯგუფად და წარმოადგინოთ მოგვარებული და მოუგვარებელი პრობლემების სტატუსის განახლება პროცენტული (%) მაჩვენებელით. შეაჯამეთ პრეტენზიებში, ან საჩივრებში წამოჭრილი ძირითადი პრობლემური საკითხები და განმარტეთ თუ როგორ მოხდა მათი მოგვარება:	